პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის ალი

1990 3 მარტი შაბათი

№27 (6254)

ფასი 5 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ეთერ დიმიტრის ასული ყურაშვილი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **ეთერ დიმიტრის ასული ყურაშვილი** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

ეთერ დიმიტრის ასული ყურაშვილი დაიბადა 1945 წელს ცაგერის რაიონის სოფელ აღვში. 1967 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის ფაკულტეტი. ამავე წლიდან დღემდე მუშაობს ცაგერის რაიონის სოფელ აღვის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

მინიჭებული აქვს „მეთოდისტ-მასწავლებლის“ წოდება, დაჯილდოებულია მედლებით და სიგელებით.

არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ყრილობის, მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის დელეგატად. არის საქართველოს სსრ მე-11 მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის მდივანი.

ქმარშვილიანია, მეუღლე ავთანდილ მიხეილის ძე თაგვაძე ცაგერის სათაო პარკსაშრობის დირექტორია, ჰყავს ორი შვილი.

სკკპ წევრია 1972 წლიდან.

ცხოვრობს ცაგერის რაიონის სოფელ აღვში.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა აღვის სასოფლო საბჭოს მოსახლეობის კრებამ.

დეპუტატობის კანდიდატის წინა საარჩევნო პროგრამის თეზისები:

დეპუტატად არჩევის შემთხვევაში ჩემი ცხოვრებისა და შრომის საფუძველთა საფუძველი იქნება ხალხში სიმართლისა და სამართლის აღდგენა, საგანგებო ყურადღებას დავუთმობ ადამიანთა უფლებების განუხრელ დაცვას, კანონიერების განმტკიცებას.

ლეჩხუმში საქართველოს ეროვნული ინტერესების განუხრელი დაცვა. მარადდღე ზრუნვა საქართველოს სუვერენიტეტისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობას პრაქტიკულად სასწავლო დაწესებულებებში უნდა ჩაეყაროს საფუძველი შრომისადმი პატივისცემის ჩანერგვის, სასწავლო პროცესის ხელშეუხებლობის გზით. ჩვენი რეალური ხსნა მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმია. აქედან გამომდინარე აუცილებელია გადაწყდეს კადრების მომზადებისა და სწორად განაწილების საკითხი.

აუცილებელია მთელი ძალისხმევა მოვახმაროთ სკოლის დემოკრატიზაციასა და ჰუმანიზაციას, მის ფინანსურ დამოუკიდებლობას, სკოლაში უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ მასწავლებელმა და მოსწავლემ შემოქმედებითად ითანამშრომლონ.

ცაგერის რაიონის მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებისათვის აუცილებელია გლეხს დავუბრუნოთ მიწა, ვიზრუნოთ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, უნდა გაიხსნას და გაფართოვდეს მცირე სამრეწველო საწარმოთა ქსელი, ყურადღება მიექცეს ქალაქის საწარმოების საშეფო დახმარების განმტკიცებას სოფლისადმი.

ეკოლოგიური პრობლემა ჩვენი ეპოქის ყველაზე მძიმე ტვირთად იქცა, დაბინძურებული მიწა, ჰაერი და მდინარეები, ზღვები, ბუნებაზე ზრუნვა საერთო საქმედ უნდა ვაქციოთ, გარემოს დაცვის საქმეში აუცილებელია საზოგადოების განუწყვეტელი პროპაგანდა.

ხელს შევუწყობ ამჟამად არამოქმედი ეკლესია-მონასტრების აღდგენას, ამოქმედებას, მათთვის კუთვნილი მიწების დაბრუნებას და მათზე სამეურნეო საქმიანობის გაჩაღებას, რაც დადებით გავლენას მოახდენს ერის სულიერ და ფიზიკურ კონსოლიდაციაზე.

დახმარებას გავუწევ მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა მოხუცებს, დავრდომილებს, სტიქიური უბედურებით დაზარალებულებს.

ადამიანზე, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა უნდა გახდეს მოთხოვნა ყველა მოქალაქისა და რა თქმა უნდა, დეპუტატის.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომში

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისათვის რაიონის სამრეწველო დაწესებულებებისა და შესაბამისი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ სამრეწველო ორგანიზაციათა პარტიული და სამეურნეო ორგანოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან პროდუქციის წარმოების და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგეგმო დავალებათა შესასრულებლად. გაწეული მუშაობის შედეგად გასულ წელს რაიონის სამრეწველო საწარმოებმა სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა 101,2 პროცენტით შეასრულეს.

ამასთან ხაზი გაესვა იმას, რომ მიუხედავად ზოგიერთი დადებითი ტენდენციისა, სერიოზული ნაკლოვანებებია სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის საქმეში, რის შედეგადაც სახალხო მოხმარების პროდუქციის მიწოდების გეგმა 99,1 პროცენტით შესრულდა, რითაც მომხმარებელს დააკლდა 43, 6 ათასი მანეთის შეკვეთილი პროდუქცია. ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებები იყო სასურსათო და ადგილმრეწველობის კომბინატების, სატყეო მეურნეობის, რაიონული სტამბის მუშაობაში. სამრეწველო საწარმოებში მიწოდების გეგმის შეუსრულებლობას ერთგვარად განაპირობებს ნომენკლატურის მიხედვით საგეგმო მაჩვენებლების შეუსრულებლობა, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოუყენებლობა.

რაიკომის ბიურომ სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისათვის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნის, სატყეო მეურნეობის, სასურსათო კომბინატის, რაიონული სტამბის დირექციებისა და შესაბამისი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა ჩათვალა არასაკმარისად.

დასახულ ღონისძიებებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნომენკლატურის მიხედვით საგეგმო დავალებების შესრულების აუცილებლობას, წარმოების გეგმების ზრდას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების [illegible] ბაზაზე პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდას, ერთობლივი საწარმოების შექმნას.

რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი — საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის ბიუროს 1989 წლის იანვრის დადგენილების „რაიონის წარმოებადწესებულებების მიერ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების გაცემის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“ შესაბამისად გატარებული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა რაიონის რიგი წარმოება-დაწესებულებების ლმძღვანელები სისტემატურად არღვევენ ხელფასებისახებ-დადგენილ წესებს. [illegible] საკანონმდებლო აქტების [illegible] ბიუროს [illegible] ინიშნა, [illegible] ლარე-მოსამსახურეთა [illegible] ინიშნა, [illegible] ლარეებისაგან. [illegible] ბუჭუ ბიქთო კომბინატებში, [illegible] ბინატ [illegible] ბ [illegible] ბ [illegible] ბ

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების სასოფლო საბჭოების საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

„საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე შეიქმნას სასოფლო საარჩევნო კომისიები რაიონის შრომითი კო[illegible]ინდიკალიტეტებისა და საზოგადოების შედეგობრივი ორგანიზაციების [illegible] პროცენტი ჰქონდეს დელეგატების შემადგენლობა [illegible] გზით ავადდებულ:

[illegible] უნდა გვახსოვდეს, [illegible] მიერ საზოგადოებაში [illegible] ის შემთხვევები [illegible] ხშირია, რაც უფრო [illegible] ლია ცხოვრების ნორმ, რაც [illegible] ტია პარტნიორები სქესობრ[illegible] კავშირების და ნარკოტიკ[illegible] ხმარებაში.

შიდსის და ვენერიული და[illegible] დებების თავიდან აცილების [illegible] რანტიას მოსახლეობის ცხოვ[illegible] ბის მაღალი კულტურის და[illegible] იდრება იძლევა, რისთვისაც [illegible] იონის სამედიცინო სამსახ[illegible] მიზანია მოსახლეობას რაც [illegible] ძლება ფართო ინფორმაც[illegible] აწოდოთ შიდსის [illegible] პროფილაქტიკ[illegible]

[illegible] ის თავმჯდომარე, [illegible]

ასოფლო [illegible]ვნო კ[illegible]

[illegible]

[illegible]ექსანდრე [illegible]ორენიშ[illegible]ეგ, ტვიშ[illegible] საბჭოს მუშა-[illegible]ბისაგან.

[illegible] ძე შოთა ვანოს [illegible]ტვიშის კოლმეურნეობ[illegible]

[illegible] კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ლომთაძე ლენა სანდროს ასული—ქორენიშის ბიბლიოთეკის გამგე, ტვიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

მიქაუტაძე მაია ნაუმის ასული — მასწავლებელი, ტვიშის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

ნემსწვერიძე გიორგი ვლადიმერის ძე— მასწავლებელი, ტვიშის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ნემსწვერიძე ოლეგი გრიგოლის ძე— მასწავლებელი, ტვიშის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ნემსწვერიძე ნინო ჯიმშერის ასული —მასწავლებელი, ტვიშის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ჩაკვეტაძე ევტიხი მიხეილის ძე—კოლმეურნე, ტვიშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ალპანის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

ალავიძე ეინვერ დალოსტის ასული — ბუხჰალტერი, ალპანის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ალავიძე სოსო კუკუშას ძე—ლაჯანურჰესის მეხანძრე, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ალავიძე ქიშვარდი აკაკის ძე—კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ახვლედიანი სეით დავითის ძე—ალპანის სამკერვალო ფაბრიკის ბუხჰალტერი, ალპანის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ირემაძე ლალი კოლიას ასული—ალპანის სასოფლო კლუბის გამგე, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კაბოსნიძე მიშა ნიკოლოზის ძე—ალპანის სამკერვალო ფაბრიკის მუშა, ალპანის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ფრუიძე ომარ სერაპიონის ძე—ალპანის საავადმყოფოს მომმარაგებელი, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა - მოსამსახურეებისაგან.

ხეცურიანი გურგენ თეოფანეს ძე—კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ხუციძე ნოდარ გიორგის ძე—კოლმეურნე, ალპანის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ჯანაძე ნუნუ ვალიკოს ასული—ალპანის კულტურის სახლის დირექტორი, ალპანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ჯანაძე ციური მარშალის ასული — მუშა, ალპანის სამკერვალო ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

ლაილაშის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

ელიანოვი მამუკა ჯიმშერის ძე—კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

თვარაძე ოთარ პლატონის ძე—კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

კაჭკაჭაშვილი ელვარა ჭიჭიკოს ასული—მკერავი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ლეშკაშელი ლერი ვარლამის ძე — კავშირგაბმულობის ლაილაშის საფოსტო განყოფილების მუშა, ლაილაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

მესხაძე ნონა ნოდარის ასული — ბიბლიოთეკარი, ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

მოწონელიძე თინა შალვას ასული — კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ურთმელიძე ზურაბ სარდიონის ძე — კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ჩორგოლიანი ჯონი დავითის ძე—კოლმეურნე, ლაილაშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ხეცურიანი ლევან ჯოტოს ძე—მასწავლებელი, ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

ორბელის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

ბურჯალიანი მზია ვაჟას ასული—ლაჯანის სასოფლო კლუბის გამგე, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

გვიშიანი ვლადიმერ მელიტონის ძე—კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

გოგებაშვილი ელგუჯა შარდენის ძე—კავშირგაბმულობის ორბელის საფოსტო განყოფილების ტექნიკოსი, ორბელის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

გურგუჩიანი დანიელ ვლადიმერის ძე—ლაცორის სასოფლო კლუბის გამგე, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

გიორგობიანი კოლია შალვას ძე—კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

გოგებაშვილი ლავრენტი გრიგოლის ძე — საქსელო უბნის ბრიგადირი, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კვირიკაშვილი რუსუდან ვარლამის ასული—ორბელის სასოფლო საბჭოს მოლარე. ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ლეშკაშელი მზია ვალიკოს ასული—მედდა, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ლარცულიანი რუბენ სემინარის ძე—ორბელის სატყეო უბნის უფროსი, ორბელის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

მეგრელი მევლუდ პარმენის ძე — მასწავლებელი, ორბელის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

სილაგაძე გულნაზი პლატონის ასული — ორბელის სასოფლო საბჭოს ბუხჰალტერი, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

სილაგაძე მზია ნოდარის ასული—კოლმეურნე, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ხეცურიანი გულია სევარიონის ასული—ორბელის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

უსახელოს სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

ალავიძე რუსიკო ევგენის ასული—მედდა, უსახელოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

გოლეთიანი კოლია გერასიმეს ძე—მასწავლებელი, უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

თოთაძე მაგული მიხეილის ასული—კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის უსახელოს აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

თოთაძე ჯოტო ვასილის ძე—კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის უსახელოს აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

კვენტაძე მალხაზ ჭიჭიკოს ძე—კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის უსახელოს აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

შეკიშვილი მაია ბახვას ასული — მასწავლებელი, უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

ხეცურიანი შალვა პლატონის ძე — კოლმეურნე, ლაჯანის კოლმეურნეობის უსახელოს აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

ღვირიშის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

ახვლედიანი ცარო პარიმონის ასული — მედდა, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

გუგავა გივი პლატონის ძე—ბუხჰალტერი, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

გიორგობიანი ჯიმშერ თედორეს ძე—კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ახვლედიანი შოთა ალექსანდრეს ძე—მასწავლებელი, ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ჯრჩვაძე რუბენ ანდრიას ძე—კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ნემსწვერიძე არქიბო ილარიონის ძე—კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

სილაგაძე მარინე შარდენის ასული — კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ტვილდიანი ანზორ გაბრიელის ძე—კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ცინარიძე ლელა ენუქის ასული—მედდა, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ჭაბუკიანი გულსუნდა ვასილის ასული—მედდა, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ძნელაძე გენადი ვალიკოს ძე—კოლმეურნე, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

სვანიძე ევგენ გრიგოლის ძე—კოლმეურნე, სოფელ ცხუკუშერის მოსახლეობისაგან.

ყურაშვილი იგორ გერონტის ძე—მასწავლებელი, ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ყურაშვილი მარადი გრიგოლის ასული—კოლმეურნე, ნაკურალეშის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

ყურაშვილი ვაჟა სევარიონის ძე—კოლმეურნე, ნაკურალეშის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

ყურაშვილი ბუჭუ ირეოდის ძე—ნაკურალეშის სასოფლო მაღაზიის გამგე, ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ქომეთიანი ლეილა სემინარის ასული—კოლმეურნე, სოფელ ცხუკუშერის მოსახლეობისაგან.

ჩაკვეტაძე მერი სოლომონის ასული—მედდა, ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

აღვის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

ბობოხიძე ლედი შოთას ასული—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის აღვის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

კოპალიანი გოტუნა გიორგის ასული—მედდა, აღვის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების სასოფლო საბჭოების საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

მიქაძე ჭიჭიკო კოსტას ძე—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის აღვის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

სილაგაძე გულვერ ბუხუტის ძე — კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის აღვის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

ჩხეტიანი ოთარ კირილეს ძე—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის აღვის აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

ჭაბუკიანი ქეთინო გრიგოლის ასული — ბიბლიოთეკის გამგე. აღვის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ჯიაძე შურმან სამსონის ძე—მასწავლებელი, აღვის ორასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

ლასურიაშის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

ახვლედიანი იური ირონდის ძე—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

აბაშიძე კოლია ბათლომეს ძე—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

გოლეთიანი ბელა ვალოდიას ასული — კავშირგაბმულობის ლასურიაშის საფოსტო განყოფილების უფროსი, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ბურჯალიანი ლოლა სპირიდონის ასული—მოლარე-მოანგარიშე, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კანაჩაძე მარინე დუშმარის ასული—დეხვირის სასოფლო კლუბის გამგე, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

მუშკუდიანი კობა ვაჟას ძე—მასწავლებელი, მახაშის არასრული საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

მუშკუდიანი ყორა ქრისტეფორეს ძე—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

მუშკუდიანი ნიკო მიხეილის ძე — მასწავლებელი, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

სილაგაძე აბესალომ პიმენის ძე—მასწავლებელი, მახაშის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

ჭაბუკიანი ემზარ ანდროს ძე—კოლმეურნე, ლასურიაშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

ხმელიძე კლარა იულონის ასული—ლასურიაშის საბავშვო ბაღის გამგე, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

ბურჯალიანი ინგა გივის ასული—კოლმეურნე, ჩხუტელის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისაგან.

დავითულიანი ვლადიმერ გრიგოლის ძე—რაიონული გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე, რედაქცია —სტამბის შრომითი კოლექტივისაგან.

კოპალიანი ლოლა აბელის ასული—გვესოს ბიბლიოთეკის გამგე, ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ლეთოდიანი კუკური გერონტის ძე —„სოიუზპეჩატის“ ცაგერის რაიგანყოფილების გამგე, „სოიუზპეჩატის“ ცაგერის განყოფილების შრომითი კოლექტივისაგან.

ლიპარტელიანი ციცო ოთარის ასული—ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღის აღმზრდელი, ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის შრომითი კოლექტივისაგან.

მეშველიანი რუბენ სამსონის ძე—ჩხუტელის კოლმეურნეობის აგრონომი. ჩხუტელის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

მიქაძე ნათელა გრიშას ასული—ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს მოლარე, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს შრომითი კოლექტივისაგან.

მუშკუდიანი სულიკო ალექსანდრეს ასული—მასწავლებელი, ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა ორგანიზაციისაგან.

სილაგაძე ნიკანდრო თედორეს ძე—მასწავლებელი, ჩხუტელის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

ხეცურიანი მზია ნოშრევანის ასული—ქვედა ცაგერის ბიბლიოთეკის გამგე, ქვედა ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ქარსელაძე ლარისა ბიკენტის ასული—ჩხუტელის საბავშვო ბაგა-ბაღის მედდა, ჩხუტელის საბავშვო ბაგა-ბაღის შრომითი კოლექტივისაგან.

ლუხვანოს სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

ბობოხიძე ლიდა სარდიონის ასული—სასოფლო საბჭოს მოლარე, ლუხვანოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ბენიძე მზია ევსების ასული—მედდა, ლუხვანოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კოპალიანი არდევან ალექსანდრეს ძე—მასწავლებელი, ლუხვანოს ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

კოპალიანი თენგიზ ვახტანგის ძე—კოლმეურნე, ცაგერის კოლმეურნეობის ლუხვანოს აგროუბნის კოლმეურნეებისაგან.

კოპალიანი ვიტალი ალექსანდრეს ძე—მასწავლებელი, ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის რუსთაველის საზოგადოების ორგანიზაციისაგან.

საღინაძე ნაირა სამსონის ასული—მედდა, ლუხვანოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ხეცურიანი მარინე სიმონის ასული—მასწავლებელი, ლუხვანოს ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

წიფერჩის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

კოპალიანი ყორა შალვას ძე—კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

კოპალიანი ნოდარ ათანასეს ძე — კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

თუთისანი ბორის ალიოშას ძე—კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ლარცულიანი მზია გრიგოლის ასული—მედდა, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

დავითულიანი ლილი ინდიკოს ასული — მოლარე-მოანგარიშე, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ფრუიძე ყორა გიგოს ძე—კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ჩანქსელიანი მზია ამირანის ასული — ბარდნალის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ხაბულიანი ოთარ ბათლომეს ძე — კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ჩარკვიანი გოჩა შოთას ძე—კოლმეურნე, წიფერჩის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ზუბის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

კოპალიანი კაკო ნესტორის ძე — მასწავლებელი, ზუბის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

მუშკუდიანი აპოლონ ერმილეს ძე—მასწავლებელი, ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

მანდარია იაშა ვლადიმერის ძე—მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ომანაძე შალვა ლავრენტის ძე — მასწავლებელი, ზუბის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

საღინაძე მაყვალა რაფიელის ასული—ზუბის სასოფლო მაღაზიის გამგე, ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ჩაკვეტაძე მარიეტა შიოს ასული—ლაბორანტი, ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

ჩაკვეტაძე ლამარა ვალიკოს ასული—მასწავლებელი, ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

ჩაკვეტაძე დოდო სოგრატის ასული—მასწავლებელი, ზუბის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

ჩაკვეტაძე ოთარ ნესტორის ძე—მასწავლებელი, ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან.

ჩაკვეტაძე ეთერი დადაშის ასული — მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ჯანელიძე ლია ოთარის ასული — მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ოყურეშის სასოფლო საბჭოს საარჩევნო კომისია

მამარდაშვილი ზურაბ გურამის ძე—მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

მამარდაშვილი ზურაბ ნოდარის ძე—მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

უგრეხელიძე შურა სერგოს ასული—მოლარე-მოანგარიშე, ოყურეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

უგრეხელიძე ბუჭუ ბიქტორის ძე—კავშირგაბმულობის ოყურეშის საფოსტო განყოფილების მუშა, ოყურეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ჩაკვეტაძე ამირან კოლიას ძე—მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ჩხეტიანი ნელი შალვას ასული — კავშირგაბმულობის ოყურეშის საფოსტო განყოფილების მუშა, ოყურეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ყურაშვილი ჯენი ალიოშას ასული — სასოფლო კლუბის გამგე, ოყურეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ყურაშვილი ნატო ყორას ასული — მასწავლებელი, ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

ყურაშვილი ავთანდილ გივის ძე—მუშა, უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე: დ. ი. სვანიძე.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანი: ნ. ჭ. ტვილდიანი.

ქ. ცაგერი, 26 თებერვალი, 1990 წელი.

ახალგაზრდული კავშირი

თბილისი, ივანიძის ქუჩა №3—ამ მისამართზე დაიდო ბინა ქართულ-ებრაული ახალგაზრდობის კავშირმა. იგი ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაული ურთიერთობის კვლევის ასოციაციასთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე. ახალი ორგანიზაცია წარმოიშვა ასოციაციასა და ებრაელ სტუდენტთა მსოფლიო კავშირს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად.

ამ ორგანიზაციის ამოცანაა მეგობრული კონტაქტები დაამყაროს მსოფლიოსა და საქართველოს ებრაელობას შორის, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, კავშირის მიზანია ივრითის შესწავლის, ლექციათა-სემინარების, ეროვნული დღესასწაულების, არქიტექტურის ძეგლებისა და საკულტო ნაგებობათა დაცვის ორგანიზაცია, რაც პროპაგანდას გაუწევს ქართულ-ებრაულ ურთიერთობას მსოფლიო არენაზე.

„ცივი ომი“ წარსულს ბარდება

მსოფლიო — ახალი პოლიტიკური აზროვნებისაკენ

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ორი სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების შიგნით მიმდინარე ცვლილებებიდ თანაბრად იცვლება მათ შორის დამოკიდებულება. მრავალი წლის განმავლობაში „ბერლინის კედელი“ სიმბოლო იყო „ცივი ომისა“. ამ „კედლის“ წაქცევა ნიშნავს „ცივი ომის“ დამთავრებას და ლაპარაკობს მხარეთა მისწრაფებაზე გადალახონ განხეთქილება.

სამხედრო საშიშროება ჯერ კიდევ არ მოგვარებულა. მაგრამ დაგროვილი იარაღის რაოდენობა შემცირდა. გრძელდება საბჭოთა და ამერიკული საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების განადგურება.

ნატოს ქვეყნებში პირველად იხილავენ არა შეიარაღების გაზრდისა და სრულყოფის გეგმებს, არამედ მათ შემცირებას. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რ. ჩეინმა ამას წინათ განაცხადა, რომ მან გასცა განკარგულება მომავალი ხუთი წლისათვის სამხედრო ბიუჯეტის 180 მილიარდი დოლარით შემცირების გეგმების შედგენაზე.

მართალია, მიმდინარე ფინანსური წლის საერთო სამხედრო დანახარჯებმა აშშ-ში შეადგინა ფრიად საგულისხმო თანხა, 305, 5 მილიარდი დოლარი, მაგრამ ეს თანხა 10 მილიარდით ნაკლებია, ვიდრე რეიგანის ადმინისტრაციის მიერ იყო დაგეგმილი, რაც შეეხება მომავალს, როგორც აშშ-ის შეიარაღებული ძალების საქმეთა წარმომადგენლების პალატის კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ესპინმა აღნიშნა, „მომავალ წელს ჩვენ, ყველაზე მეტად სავარაუდოა, განვიხილავთ პირველ ბიუჯეტს ყველა ბიუჯეტის სერიიდან, რომლის მუცულობა განსაზღვრული იქნება საბჭოთა პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკით“.

მაგრამ რეალობის გრძნობა არავინ არ უნდა დაკარგოს. არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ის, რომ გაელენინამ წრეებმა დასავლეთში არ თქვეს უარი და ალბათ არც იტყვიან ძალის პოლიტიკის პოზიციაზე, ჯერ კიდევ იღვწიან მიიღონ ცალმხრივი უპირატესობა.

მსოფლიო საზოგადოების ღრმა აღშფოთება და განგაში გამოიწვია აშშ-ის მიერ სუვერენული პანამის ოკუპაციამ, საქმე ეხება ადრე დაგეგმილ აგრესიას. პანამაში აშშ-ის შეიარაღებული ინტერვენციის პროპაგანდის კვამლის საბურველს არ შეუძლია დაფაროს ამ სამარცხვინო აქციის ნამდვილი დედააზრი.

საერთაშორისო ურთიერთობა დღეს ვითარდება გარდაქმნის ახალი აზროვნებით. მსოფლიოში განსაკუთრებით კი ევროპაში, დამყარდა ახალი საერთაშორისო ატმოსფერო, საბჭოთა ქვეყნის გარდაქმნაში ჩვენი მუშაობისათვის ხელსაყრელი. ეს ამავე დროს გვავალებს მეტ პასუხისმგებლობას —მორალურსა და პოლიტიკურს. აკი პოლიტიკური აზროვნების იდეები—ეს მაღალფარდოვანი სიტყვები და მშვენიერი ოცნებები კი არაა, არამედ რეალობის ზუსტი და ღრმა კონსტატაციაა.

ცნობილია, ათწლეულების განმავლობაში დასავლეთში ცდილობდნენ სოციალიზმი, საბჭოთა კავშირი წარმოედგინათ როგორც მსოფლიო ისტორიის თავისებური ანომალია, წინააღმდეგობრივი თვით ადამიანის ბუნებასთან, და ამიტომაც განწირული დაღუპვისათვის. იდეოლოგიის ამგვარი გადმონაშთები დღემდე არაა აღმოფხვრილი.

თავის მხრივ, კომუნისტები აკეთებდნენ დასკვნებს ახლო მომავალში კაპიტალიზმის აღსასრულზე, თვითგანვითარების შესაძლებლობის შეფასების გარეშე. ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემის არსებობა წარმოადგენდა ომის საფრთხის წყაროს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მხრიდან თითქოს არ ყოფილიყოს პრიმიტიული იდეოლოგიის ტყვეობიდან გამოსვლის ცდები, სკკპ მე-20 ყრილობამ გააკეთა დასკვნები მსოფლიო ომის თავიდან აცილების შესახებ, ხაზი გაუსვა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას. მაგრამ მშვიდობიანი თანაარსებობა განმარტებული იყო როგორც „საერთაშორისო არენაზე კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური ფორმა“.

სახიფათო განვითარების შესაჩერებლად, საჭირო იყო ინტელექტუალური გარღვევა, გადაწყვეტილი უარის თქმა მოძველებულ შეხედულებებსა და წარმოდგენებზე. ასეთ გარღვევას წარმოადგენს ახალი პოლიტიკური აზროვნების კონცეფცია. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ის საბჭოთა ქვეყანამ წამოაყენა.

ახალი აზროვნება, უპირველეს ყოველისა, მოითხოვს მსოფლიოში მდგომარეობის ისეთნაირად შეფასებას, როგორიც არის, ყოველგვარი იდეოლოგიური გადახრების გარეშე. ხოლო ის ასეთია — კაცობრიობა ახლა ეჯახება ისეთ სერიოზულ გამოძახილებს (ატომური საფრთხე, ეკოლოგიური დეგრადაცია, მდიდარ ჩრდილოეთსა და ღარიბ სამხრეთს შორის მზარდი ნაპრალი), რაზედაც თავის გარომევა სახელმწიფოებს შეუძლიათ მხოლოდ შეთანხმებებით. რომ შევინარჩუნოთ ცივილიზაცია, გავხადოთ ის უსაფრთხო ყველასათვის, და მეტად ხელსაყრელი ნორმალური ცხოვრებისათვის, მოითხოვს „თანაშემოქმედებას“ და „თანაგანვითარებას“, რომელშიც ჩაბმული უნდა იყოს მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა. ეს კი ნიშნავს, რომ წინა პლანზე წამოვწიოთ საკაცობრიო ინტერესები.

ჩვენ, არ გავმხდარვართ კაპიტალიზმის მომხრეები და უარი არ გვითქვამს ფუნდამენტალურ პრინციპებზე. ძველებურად ვთვლით, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია უზრუნველყოს ნამდვილი თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა, მაგრამ, გააკეთოს თავისი არჩევანი, ჩვენ ვცნობთ ასეთივე უფლებას სხვებისათვის, სხვა სისტემის არსებობაში ვხედავთ არა საშიშროებას, არამედ საკუთარი განვითარების სტიმულს!

ახალი პოლიტიკური აზროვნების კონცეფცია მორიგი დოგმა არაა, ის ღიაა განხილვისათვის და ისრუტავს ძვირფას იდეებს, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ისინი. ის მიმართულია არა ცალმხრივი მოგებისა და უპირატესობის მოპოვებაზე, არამედ საერთო პრობლემების გადაწყვეტაზე.

ა. ტოლკაჩინი.

ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ“.

ეკონომიკა: გარდაქმნის მიჯნები

„გლეხის ოცნება“

ქალაქ ქუთაისის ქუჩებში გამოჩნდა ადგილობრივ ავტომობილ-მშენებელთა მიერ შექმნილი ორიგინალური კონსტრუქციის სატვირთო მანქანა.

ეს მომავალი პროდუქციის საცდელი ნიმუშია. თვითონ ავტორებმა, ახალგაზრდა სპეციალისტებმა ამ სიახლეს, რომელიც საექსპერიმენტო საამქროს ბაზაზე შექმნეს, „გლეხის ოცნება“ უწოდეს. მანქანით შეიძლება ბაზარში წაიღო პროდუქტები, გადაიტანო თივა, სასუქები... ხოლო სპეციალურვილობის მეშვეობით მანქანას შეუძლია თიბვა და ხვნა. და კიდევ ერთი შტრიხი — მისი გამოყენება შეიძლება ქუჩების დასასუფთავებლად და შიგასაქარხნო ტრანსპორტის სახით.

ასეთი ავტომობილი ქვეყანაში ჯერ კიდევ არა გვაქვს, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იგი სულ სამი ათასი მანეთი ეღირება.

(საქინფორმი).



გუჯუ სამსონის ძე მეშვეიდიანს

გილოცავთ 50 წლის შესრულებას. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ოჯახის წევრები.

გალინე ეფაძე

კვირეულ ერთ ეფაძე

ჩვენს რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი ქალი, 8 შვილის დედა, ჩხუტელის კოლმეურნეობის მოწინავე კოლმეურნე გალინე ეფაძე.

სულ რაღაც ერთი კვირის წინ იგი ჩვეული ენერგიით ცხოვრობდა, მისი სული და მარჯვენა გაზაფხულს შეხვაროდა, შრომითს გაზაფხულს. შვილებსა და შვილიშვილებში ჩაფლულს ცივნიავს ვინ მიაკარებდა, მაგრამ უშრომლად ერთი დღეც არ შეეძლო, ვაზისა და მიწის გარეშე რა მოასვენებდა.

და აი მოვიდა გაზაფხული, მის გარეშე აცრემლდა ვაზი, მისი ხელით გასხლულ-ნალოლიავები, აცრემლდნენ შვილები და შვილიშვილები. მთელ სოფელსა და რაიონს დააკლდა ერთი რიგითი მშრომელი ქალი, შესანიშნავი დედა და მოქალაქე.

მან ქართველქალობის ტვირთით იცხოვრა 7 ათეულ წელზე მეტხანს, რომლის დასტურია მრავალი ჯილდო თუ მედალი. ამიტომაც კრძალვით მივიტანთ გაზაფხულის პირველ ყვავილებს მის ცხედართან და გულწრფელი ცრემლებით დავიტირებთ, კარს მომდგარ 8 მარტს ერთხელ კიდევ ვაღიარებთ მის ქალობას არდავიწყების ნიშნად.

ქალთა რაიონული საბჭო.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

მეუღლე კუჭიკო, შვილები იზოლდა, აზა, ვახტანგი, მაყვალა, დები მარო, კატუშა, ნაზიკო, ძმა ანზორი, მაზლი ზაური, რძლები ნინო ლაკვეხელიანი, მარინე კუხიანიძე, სიძეები ვიქტორ გარდაფხაძე, ალბერტ ბენდელიანი, მულები თეო, ბაბილო, ელენე, მელანო, ნორა, შვილიშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეუეუნა ნიკოს ასული საღინაძე-ჯამბურიძე.

დაკრძალვა 6 მარტს, სამშაბათს, სოფ. ლასურიაში.

მურმან ხემსწვერიძე, ზაურ ახვლედიანი, გრიშა კვენტაძე, კოტე ლაკვეხელიანი, ჯემალ ცვარიანი, თემურ გუგავა ოჯახებით თანაუგრძნობენ მურთაზ და იზო ახვლედიანებს რძლის

ვენერა კალანდაძე-ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

სასტუმროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა გიორგელიძეს მამის

ვეფგერ გიორგელიძის

გარდაცვალების გამო.

ნოდარ ნემსაძე, ქორა ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ლაჭყეპიანი.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ იზო და მუთაზ ახვლედიანებს რძლის

ვენერა კალანდაძე-ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ტვიშის სასოფლო საბჭოს, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, კავშირგაბმულობის განყოფილების, ვაჭრობისა და ღვინის ქარხნის მუშაკები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ლაჭყეპიანი.

ტვიშის საექიმო ამბულატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დომნა აბელის ასულ უგრეხელიძეს სიძის

დავით ალექსანდრეს ძე ლაჭყეპიანის

გარდაცვალების გამო.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს თინა და ქეთინო გუგავებს დედისა და ბებიის

ვერა თუთისანის

გარდაცვალების გამო.

საჯკვების გაერთიანების აპარატისა და ქსელის, რაიკოოპერატივისა და პურკომბინატის აპარატის, ალპანის დარგობრივი გაერთიანების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ლაჭყეპიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თამაზ ქარსელაძე, თამაზ მურცხვალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინე პეტრეს ასული ეფაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-26, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.